Research

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

ნოემბერი 2025

- **2025 წლის ნოემბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი შემცირდა 5.9%-ით წინა თვესთან შედარებით; ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა გურიაში, თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში.**
- **2025 წლის ნოემბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი შემცირდა 4.2%-ით წინა წელთან შედარებით; ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა იმერეთში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.**
- **ოთახის საშუალო ფასი 2025 წლის ნოემბერში მერყეობდა 101 ლარიდან 390 ლარამდე.**

სასტუმროების საშუალო ფასები

2025 წლის ნოემბერში სასტუმროების საშუალო ფასმა[1] საოჯახო ტიპის სასტუმროებში[2] **101 ლარი შეადგინა**, 3-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **144 ლარი**, ხოლო 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **218 ლარი**. 3-ვარსკვლავიანი, 4-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკი 1-ზე.

2025 წლის ნოემბერში საქართველოში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი იყო **390 ლარი**. ყველაზე მაღალი საშუალო ფასები დაფიქსირდა თბილისში - **531 ლარი**, კახეთში - **451 ლარი** და შიდა ქართლში - **449 ლარი**.



გრაფიკი 1: 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2025 წლის ნოემბერში, ლარში)

სასტუმროს ფასების ინდექსი

2025 წლის ნოემბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი[4] 7.5%-ით შემცირდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 3.0%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის ნოემბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 5.9%-ით შემცირდა 2025 წლის ოქტომბერთან შედარებით.

2025 წლის ნოემბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.8%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 5.2%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის ნოემბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 4.2%-ით შემცირდა 2024 წლის ნოემბერთან შედარებით.

რეგიონი[5]	3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი		საოჯახო ტიპის		ყველა სასტუმრო	
	ნოემბერი/ თვიური(%)	ნოემბერი/ წლიური (%)	ნოემბერი/ თვიური(%)	ნოემბერი/ წლიური (%)	ნოემბერი/ თვიური(%)	ნოემბერი/ წლიური (%)
კახეთი	-7.4%	2.6%	5.0%	-11.7%	-1.6%	-7.5%
იმერეთი	-7.4%	-3.7%	0.8%	-14.4%	-4.7%	-9.7%
გურია	-6.5%	-	-13.2%	-	-10.6%	-
ქვემო ქართლი	3.7%	-	-	-	0.5%	-
აჭარა	-6.5%	-4.5%	-11.3%	-3.5%	-7.1%	-4.4%
რაჭა	1.9%	-	-0.2%	-	1.0%	-
შიდა ქართლი	-1.6%	-10.7%	13.6%	11.5%	5.3%	-2.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-5.2%	-11.9%	6.0%	1.7%	-0.1%	-5.4%
სამცხე-ჯავახეთი	-8.6%	4.2%	-7.0%	-11.6%	-8.1%	-4.0%
მცხეთა-მთიანეთი	-8.1%	5.4%	-0.4%	-7.6%	-5.8%	-0.1%
თბილისი	-10.6%	-0.5%	-1.1%	5.7%	-8.9%	-0.1%
სულ ფასების % ცვლილება	**-7.5%**	**-1.8%**	**-3.0%**	**-5.2%**	**-5.9%**	**-4.2%**

ცხრილი 1: თვიური და წლიური ინდექსების ცვლილება (2025 ნოემბერი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვებით. ანალიზში შედის booking.com-ზე რეგისტრირებული სტრატიფიცირებულად არჩეული 571 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და 368 საოჯახო ტიპის სასტუმრო. საშუალო ფასები გამოითვლება მიმდინარე თვეში ხელმისაწვდომი სასტუმროების საშუალებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 გურიაში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი მიუწვდომელია, ვინაიდან მათმა უმეტესობამ შეწყვიტა ჯავშნების მიღება ნოემბერში.

4 სასტუმროების ფასების ინდექსი გამოითვლება მიმდინარე და საბაზისო პერიოდში ხელმისაწვდომი სასტუმროების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (CPI: "Theory and Practice", 2004; Practical Guide, 2009).

5 ინდექსები არ არის ნაჩვენები ისეთი რეგიონებისთვის, რომლებისთვისაც მონაცემები მიუწვდომელი ან არასაკმარისია. თუმცა, ყველა მონაცემი გათვალისწინებულია მთლიან რეგიონულ ინდექსში.